17 (29) თებერვალს 1867. № 7. მეოთხე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

აგზავნით ტფილისში — გაუგზავნელათ:
გარეშე ადგილებში:
წლისა — 7 მან. — — — 6 მან.
ექვსის წლისა — 4 — — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი: მმართებლობის განკარგულება: მაღლესი რესკრიპტი.—შთავრესის ინსპექტორის გარიში ქავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლებზედ. კორრესპონდენცია: წიგნი რედაქტორთან. პოლიტიკა: ანგლია.—იტალია.—ბელგია.—ოსმალეთი.—საბერძნეთი.—ამერიკა. ტელეგრამმები. პეტერბურგის ბირჟის ამბავი.—ფელეტონი. ნამხი ცეცხლსა და წყალს შუა გამოველილისა.—სახაზი განცხადება.

უმაღლესი რესკრიპტი,

ციმული უგანათლებულესის კნეინის ელისაბედ ქსავერიევნის ვარანცოვის სახელზედ.

კნეინა ელისაბედ ქსავერიევნა. განსვენებულმან თქნმა მეუღლემ სახელოვანის მოღვაწეობით დაუვიწყარი ხსენება დასტოვა ყოველს ასპარეზზედ, სადაც კი ის სულალავად მსახურებდა ტახტს და სამშობლო ქვეყანას. ნოვოროსიის მხარე იმის ხანგრძლივ ბრძნულის მეგობითა დავალებული შეიქნა. ამ მხარემ მიხაილ ორონის ძეს ვარანცოვს აღუგო ძეგლი, რომ თავისი ღწლობა იმის მამობრიულის მზრუნველობისთვის დაუწყარი ჰყოს. ქავკასიის მხარეც ეგზომად მადრიელია. ის გამგეობაზედ იმან გადალია თავისი უკანასკნელი ნე და სიცოცხლე. იმან დაიწყო იმ გვარი მოქმედება, რომელმანაც დააბოლოვა ნახევარ საუკუნოზედ მეტად გაგრძელებული ბრძოლა და იქ დაამყარა მშვიდობიანობა. როგორც ოდესაში, ტფილისშიაც აგრეთვე აღმართება ძეგლი განსვენებულს ფელდმარშალს. ამ ძეგლის ყურებით იმის ღვაწლის პატივისცემა შვილის-შვილამდის განუქარვებლად დარჩება ხალხში, რომლის სიყვარულიც განსვენებულს უმაწვილობიდგანვე ჰქონდა გულში ჩავარდნილი. ჩამოსხმული ბრონძის სურათი კნიაზისა კიდეც გამოიგზავნა ტფილისის ქალაქს. იქ ის დააშენებს მტკვარზედ აგებულს ხიდსა, რომელსაც დაერქვა იმისი სახელი. მე ვბძანე კიდევ ამ ძეგლის ორი პატარა სურათი ბრონძისა ჩამოესხათ. ერთი მსურს მე დავიტოვო. ის იქნება მოწმე იმ გულითადი პატივისცემისა, რომელიც განსვენებულის თქვენის მეუღლის სიცოცხლეში მუდამ გულში მემარხა.

მეორეს ამასთანავე თქვენ გაახლებთ და გთხოვთ მიიღოთ ჩემგან ეს ისე, როგორც სათნოდ მისათვლელი. დავრჩები შეუცვლელათ თქვენი კეთილის მოსურნე:

ნამდვილზედ მისის იმპერატორების დიდებულების საკუთარი ხელით მოწერილია:

„ალექსანდრე“.

უმთავრესმა ინსპექტორმა რომ 1865 წლის ანგარიში წარადგინა ქავკასიის იქითის და აქეთის სასწავლებლებზედ, იქიდამ გამოვწერთ რამოდენსამე ადგილს.

როცა ქავკასიის ჩრდილოეთის მხარეზედ

განცხადება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის „დროების“ გამოცემაზე 1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოვა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, როგორც გამოდიოდა 1866 წელს.

„დროება“ უწინდელათვე გამოვა კვირაში ერთხელ, პარასკევობით, ერთის თაბახიდამ თაბახ ნახევრამდე.

ფასი მთელის წლის ნუმრებისა არის: გაუგზავნელათ ტფილისში 6 მანეთი, გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში 7 მანეთი.

გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ბალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნილება გამოგვგზავნონ ხოლმე ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“, при типографіи Меликова и К-о.

ნამგოლი ცეცხლსა და წყალშუა გამოველილისა.

ჩვენი აღზრდის და განათლების სურათი.

IV

— ხომ მოგახსენეთ, რომ ჩემ უკანასკნელ ბატონის პატრონთან ხუთ წლამდის დავრჩი მეტი; ეს ხუთი წელიწადი მაშინ შემისრულდა, როცა უფროს კლასში ვიყავი. ახლა ვარჩიე ამ სახლის პატრონიდგან გადასელა, რადგანაც ჯერ ერთი ავათ გავხდი, მეორეც სწავლას ვეღარ ვასწრებდი. ამხანაგებმა მირჩიეს პანსიონში სასწავლებლის პატრონთან შესელა. ჩვენ სასწავლებელს პატრონი ეხანავდა თავისთან ზოგიერთს ყმაწვილებს პანსიონერათ და თითო ყმაწვილზე წელიწადში შეიდ თუმანს იღებდა საჭმლისა და სახლისთვის,—ტანისამოსი და წიგნები კი პანსიონერს თავისი უნდა ჰქონოდა. რადგანაც პანსიონის მდგომარეობა ჯერ კარგათ არ ვიცოდი, ამისთვის ვარჩიე შეიდი თუმნის ძლევა და იქ შესელა; ვარჩიე კიდევ უფრო იმისთვის, რომ იქ ბევრი დროება მექნება მეთქი და ეგება ვისწავლო რამე; ვარჩიე და ძალიანაც შევსცდი. აქამდის თავისუფლათ სიარული მანც შემეძლო; ახლა კი ჩამკეტეს ოთხკუთხე კედლებში და იქიდგან გამოსელა კვირაში ერთხელ თუ შემეძლო, ისიც ორს ან სამს საათს. ვიყავი ერთ ვაიეგზლახ მდგომარეობაში, სასყიდელი რომ მქონოდა რამე, ყიდვა ვერ შემეძლო; პური რომ მშიებოდა და ფული მქონოდა, ყიდვა ვერ მოვეხერხებინა. მაგრამ ჯერ ეს კიდევ არაფერი: საწოლი ალაგი მომცეს ერთ პატარა ოთახში, რომელშიაც ოც-და-ათი თუ ორმოცი ყმაწვილი იყო; კრავატები ხულ ზედი-ზედ იყო მიდგმული უადგილობის გამოისობით. დილაზე რომ აედგებოდით სუნთქვის ილაჯი აღარა გექონდა, რადგანაც ჰაერი ძალიან გაფუჭდებოდა ხოლმე ამოდენა სიმრავლის სუნთქვითა; დილაზე ლოგინიდამ მთლათ გაყვითლებულები წამოვსდგებოდით ხოლმე. ამასთან საშინელი სანახავი იყო ზოგიერთი ყმაწვილის მდგომარეობა: ზოგს კრავატი არა აქვს და ძირს ცვივიცრებზე წევს, ზოგს საბანი არა აქვს, ზოგს მთლათ ლოგინი ერთი და იგივე დაგლეჯილი სერთუკი დღე ტანთ საცმელია და ღამე საბანიც, ლეიბიც და ყურთბალიშიც, ყრიან ისე გაუხდელები, ზოგი რომელ კუთხეში, ზოგი რომელში. ჩემს იქ მყოფობაში ჩვენ სასწავლებელში ვიღაცა მზვერაეს მოელოდნენ და რომ იმას ამისთანა მდგომარეობა არ ენახა, ეს საწყლები სულ ძირის ერთ ოთახში ჩარეკეს და იქ დაუნიშნეს დასაძინებელი ადგილი; უნდა წარმოიდგინოთ, რომ ის ოთახი ცოტა ტენიანიც იყო, და აი ამ ტენიან ადგილში ჰქონდათ ტიტველ-შიშველა, ულოგინო ცვრილ ყმაწვილების საწოლი ადგილი. მგრეთიეე ვიწროობა იყო საკითხავ ოთახებშიაც. არც ჭამა გექონდა ხეირიანი: დღეში ორჯერ გვაჭმევდნენ და ისიც ჯერზე თითო ხელისგულისტოლა სიფრიფანა პურის ნაჭერს მოგვცემდნენ ხოლმე. საჭმელი ხომ ღმერთმა შეინახოს—მარხვაში ლობიო, კარტოფილი ხშირათ უზეთოთ და დაუმჟავებელი გაუთუთქავი კომბოსტო; სხნილშიაც თუ ხორცი გვქონდა, წვენი არ გვექნებოდა და თუ წვენი გვქონდა, ფოჩი დაგვაკლდებოდა. მასუკან საჭმელსაც ასე ფთხილათ ამზადებდნენ, რომ ტენის ჭიებით, და სხვა და სხვა გვარის მატლებით სავსე იქნებოდა ხოლმე. ჩვენც შევექცეოდით არხეინათ ამ სიტყვების მიძახებით: „დეე, ბიჭო, ლუკმაზე დიდი ხომ არ იქნებაო“. მოდი და ნუ სჭამდი, რა მექნა? ერთი წლის ფული მიცემული მქონდა, ამას უკან აღარ დამიბრუნებდნენ და აბა ერთ წელიწადს როგორ მემარხულა? მეტი ილაჯი აღარ იყო, უნდა შევჩვეოდი. ჩემი მდგომარეობა კიდევ კარგი იყო სხვის მდგომარეობასთან დადარებით; ამიტომ რომ ცოტა მოზდილი ვიყავი და იქ ყველაფერი ძალაზე არის დამოკიდებული. წინაწინ ჩვენ მოგვიტანდნენ საჭმელსა და ამისათვის ხშირათ არ გვაკლდებოდა, მაგრამ სატირალი იყო პატარა ყმაწვილების მდგომარეობა: ნახევარზე მშიერ—მწყურვალები იყვნენ საწყლები—საჭმელი ყოველ დღე აკლდებოდათ. საჭმლის უვარგისობას და სიმცირეს მარხვაში უფრო ცუდი ზედმოქმედება ჰქონდა ჩვენზე. მთელი ექვსი თუ შვიდი კვირა ისეთ უნოყიერო გამოფიტებულ საჭმელს გვაძლევდნენ, რომ ჩვენში ერთს აღარ ედვა ადამიანის ფერი, ყველანი განდეგილი ბერები გეგონებოდათ: თვალები ჩაცვივნული, სიყვითლე, ყბებში და ტანზე სიგამხდრისაგან ისე გამოხრილი, რომ ძვლები დაეთვლებოდათ,—ამას წარმოგიდგენდათ რომელს პანსიონერსაც კი შეხედავდით. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ამ პერიოდში ყმაწვილები დალამის მთლათ დიდრონებიც ერთი შესანიშნავი ავათმყოფობით ვიყავით ხოლმე ავათ: ეს ავკურია (куриная слѣпота); დაღამდებოდა და აღარაფრის დანახვა აღარ შეგეძლო, ყეყეჩი ინდოურებივით დავეხეტებოდით, რომ მისელა-მოსელა გვდომოდა სადმე; ვახშამზე წასელის დროს ერთი ოცი მაინც გადაიელიდა ყირაზე კიბეებზე ჩასელის დროს. ამისგამო ყოველთვის ერთიერთმანეთზე გადაბმულები წავიდოთით ხოლმე. ზედამხედველები როგორები ღა გყვანდნენ? ღმერთმა ყველას აშოროს იმათ ხელში ჩავარდნა: ერთი მაღალი სიტყვის თქმისთვის, გაღიმებისთვის, ეზოში თამაშობისთვის, გაკვეთილის დაუსწავლელობისათვის, თუ საჭმელზე ჩივილისათვის, აგრეთვე სიცივეზე და კიდევ ბევრი რამ იყო, რომელზედაც ყმაწვილია თუ ვაჟკაცი ხმა უნდა ამოიღოს,—ამისთვის სულ წკეპლები, დაჩოქება და უსადილოთ დარჩენა იცოდნენ. ერთი სიტყვით იმათი ჰაზრი ის იყო, რომ ყმაწვილი მომთმენი, ფალასი გამოვიდესო, ყოველგვარი უბედურება და ბედი შეუნიშნავათ გადიტანოსო; არც სიხარული იგრძნოს და არც უბედურება და მწუხარება. მოდი და რას გაარიგებდი ამისთანა მდგომარეობაში? მართალია ბევრს ჰქონდა გაერდები შეჩვეული ცემა-ტყეპისთვის; მაგრამ სადილ-ვახშმის მოკლება კი ძნელი გადასატანი იყო; სხვაგან არსად გვიშვებდნენ, რომ მშიერი მუცლები ამოგვევსო და არც თითონ გვაჭმევდნენ. ამისთანა მდგომარეობამ ბევრი ყმაწვილი გააფუჭა, გააპირმოთნევა, ზნეობით დასკა, ასე რომ რასაც ამბობდნენ, იმას არ აკეთებდნენ და რასაც აკეთებდნენ, იმას არა ფიქრობდნენ. ამავე შეიწროებას და ოთხკედელშუა ჩაკეტას ბევრი რამ ცუდი საქმე და ჩვეულება შეეძინა იმათთვის, რომლების მოგონებაც და გამოთქმაც ძნელი არის!.... ამასთანვე უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ზედამხედველები რასაც ჩვენ გვიშლიდნენ, იმას თითონ სრულებით არ ერიდებოდნენ; ჩვენ მოთმინებას გვასწავლიდნენ და თითონ კი მოუთმენელები იყვნენ; ჩვენ სხვა და სხვა ნაირ ზნეობით კანონებს გვიკითხავდნენ და თითონ კი ზნეობით სრულიად დაცემულნი და გარყვნილები იყვნენ. ამასაც, რასაკვირველია, უფრო დიდი გამაძლიერებელი ზედმოქმედება ჰქონდა ჩვენ უშვერ საქმეების კეთებაზე. ნამეტანი არ იქნება, რომ მოგითხროთ ერთი ორი შემთხვევა, რომლებზედაც ლაპარაკი შეიძლება და რომლებითაც საესეა არ მაქნისაანთ სასწავლებელის ცხოვრება: თუმცა ჩვენ სასწავლებელში ისე ძალიან შეიწროებული ვიყავით, მაგრამ სასწავლებელს გარეთ ძალიან მოუთმენელებათ და ამაყებათ ვსჩანდით; ღვთისწყალობაკ რომ ეთქო ვისმე, ჩვენ იმას ხეირს არ დავაყრიდით, სხვისი ყოველგვარი ქცევა საწყინრათ მიგვაჩნდა; ამნაირი ჩვენი ხასიათის გამოისობით სასწავლებელს გარეთ ჩვენგან არე მარე სულ ამტუტებული იყო: ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი ნახაენები ზედამხედველი, ცხვირწითელა ლოთაძე მოგვიკედა. ამაზედ ჩვენ რასაკვირველია შეგვიდგა სიხარული, ერთ მწვალებელ კაცს ცოტა ხნით მაინც მოვერჩით. ის მოკედა ნავთლუხის ლაზარეთში; ეს დრო გიორგობის თვეა. ჩვენ გაგვგზავნეს იმის დამარხვაზე. წაველით, დავითნი ყურთხეთ და შუადღის უკან მიწას მივაბარეთ. ამასობაში ცოტა შემოგვიღამდა, მობინდდა, როცა ქალაქში შემოველით, ჩამოვიარეთ მეტეხის (აველაბრის) თავდალმართზე. აქ ერთმა საწყალმა ბაყალმა თავის ამხანაგს გასძახა: „უჰ, რამდენი შეყრილან და ან სად ყოფილან ამ დროსაო“. ამის

მყოფი სასწაველებლები უმთავრესმა ინსპექტორმა დაწვრილებით გაიცნო, 1864 წელს 26 სექტემბერს მოვიდა ტფილისს და მაშინვე მიიღო იმაზედ მინდობილი ნაწილი განსაგებლად.—

ტფილისში იმან ჯერ გაიცნო ის სასწავლებლები, რომელნიც პირდაპირ იმას ემორჩილებიან, მერე მოახდინა დაწვრილებითი რევიზია ქავკასიის აქეთის ქალების ინსტიტუტში და წმინდა ნინოს სასწავლებელში, იმან აგრეთვე უყო რევიზია მუთაისის გიმნაზიას, ახალციხის და ბორის უეზდის სასწავლებლებს. შემდეგ უმთავრესმა ინსპექტორმა დაათვალიერა ეკატირინოდარის სასწავლებლები, სტავროპოლის გიმნაზია და თითქმის ყველა სასწავლებლები, რომელნიც იმყოფებიან ბაქოს, ერევნის და ტფილისის გუბერნიებში.

აღმოჩნდა, რომ ყოველგან დიდი სურვილი აქვთ სწავლისა და ამასთანავე მასწავლებლების დიდი ნაკლებულობაა, განსაკუთრებით უეზდის სასწავლებლებში და პირველ დაწყებითს შკოლებში. უმთავრესმა ინსპექტორმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია სტავროპოლის გუბერნიას, სადაც წმინდა რუსობაა და ამის გამო, როგორც ინსპექტორი ამბობს, განათლებაც უფროაო. ამ გუბერნიას შეეძლებოდაო, რომ ქავკასიის აქეთა მხარისთვის მასწავლებლები უკლებად გამოეგზავნაო და საჭიროდ შეერაცხეო, რომ ჩრდილოეთის ქავკასში სასწავლებლები უკეთესს მდგომარეობაში მომეყვანაო.

ამისთვის უმთავრესის ინსპექტორის პირველი საქმე ის იყო, რომ პროექტი შეედგინა პირველ-დაწყებითი შკოლების გასახსნელად სტავროპოლის გუბერნიაში.

ტფილისის გუბერნიის გიმნაზიაში იმდენათ

თქმა იყო და ჩვენიც ერთათ შეგროვება და იმას თავს დაცემა. ვეცით იმის დუქანსა, თაბახები სულ აქეთ იქით გადაეუყარეთ, თითონ იმას ლამის ცხვირპირი ჩავამტვრიეთ. რაც იმ საწყალს ხილი დაელუპა იმ დროს, ამას ხომ თქმა აღარ უნდა. მშიერი ბატები რომ ყანას მოედებიან, სწორეთ ისე ვუყავით იმ საცოდავსა: ზოგი ორი ხელით ქიშმიშს იყრის პირში, ზოგი ვაშლებით და მსხლებით ჯიბეებს იტენს, ზოგიც გაჯავრებული აქეთ-იქით ფანტავს. ამაზედ თუმცა იმ საწყალმა ბაყალმა იჩივლა, მაგრამ ჩვენგან ეელარა გაიტანა რა—ამ საქმემ არხეინაა. ჩაგვიარა. ბაიდა ზამთარი, გაზაფხულდა. მაისში ერთი თუ ორი დღე თავისუფლება გვეძლეოდა ხოლმე და მინდორში წავიდოდით სასეირნოთ, საქეიფოთ. ჩვენი ქეიფი ღვინის სმაში იყო და ძალიანაც გამოვიბრუჟეთ. ამ დროს თურმე ჩვენ გარდა ერთი სხვა სასწავლებელის მოწაფეებიც ყოფილან სასეირნოთ, ისინიც სხედან და ქეიფსა სწვევენ. წვრილი ყმაწვილები, რადგანაც ღვინოს არა სვამდნენ, გავგზავნეთ სათამაშოთ. ისინი გადასულან ერთ ხევში; ხევის გალმა დახვედრიან ის სხვა სასწავლებელის წვრილი ყმაწვილები. იმათ ჯერ არხეინათ უთამაშნიათ,—მასუკან რაღაზედაც წაკიდებულან, ერთიერთმანეთს გასდგომიან განზე და ქვის სროლა დაუწყიათ. ჩვენ ყმაწვილებთაგანს ერთს თავი გასტეხოდა, მოვიდა ჩვენთან ტირილით. ჩვენ გამოვკითხეთ მიზეზი. იმან გვიამბო ყველაფერი. ამაზე ჩვენ გული მოგვიკდა, წამოვდექით; ზოგმა ქვები ავიკრიბეთ კალთაში, ზოგმა კეტებს წამოვაველეთ ხელი და წავედით საჩხუბრათა. თურმე იმათი მხრიდამაც ასეთი სამზადისი ყოფილა. შევხვდით ერთი ერთმანეთს, შეგეექნა გაცხარებული ჩხუბი, წინაღამ ერთი ერთმანეთი არ ამოეხოცეთ, მანამდის იმათი მასწავლებლები და ზედამხედველები არ მოვიდნენ და არ გაგვაშველეს. ამ ჩხუბში რასაკვირველია ბევრი დაზიანდებოდა: ზოგს თავი გაუტყდა, ზოგს ხელი ამოუვარდა, ზოგს გული ეტკინა და სხ. ამაღე თვის გასულს კიდევ მოგვცეს ერთი

ბევრი მოსწავლეები შეგროვდნენ, რომ მეორე გიმნაზიის გახსნის საჭიროება ნათლად აღმოჩნდა. ამისთვის უწინდელი საკომერციო სასწავლებელი ტფილისისა რეალურ გემნაზიათ გადაკეთდა. ამ გიმნაზიის გახსნა მაინც ბევრათ არ მოხმარებია პირველ გიმნაზიას. პირველ გიმნაზიაში 660 მოსწავლეა. ერთს გიმნაზიაში ამისთანა დიდი რიცხვი მოსწავლებისა ამტკიცებს, რომ ახალგაზდობას დიდი სურვილი აქვს განათლებისა. რაკი რეალური გიმნაზია გაიხსნა, ძველი გუბერნიის გიმნაზია კლასსიკურ გიმნაზიათ უნდა გადაცვლილიყო უსტავისა მებრ, რომელიც გამოიცა 1864 წ. 1865 წლის სექტემბრის თვიდგან ორს მდაბალს კლასში, პირველსა და მეორეში, დაწყებინეს ერთი ძველი ენის სწავლება.

ბაქო და ერევნის გუბერნიაშიაც იგეთივე მდგომარეობა აღმოჩნდა სასწავლებლებისა, როგორც ყოველგან: მოსწავლეები ბევრნი არიან, მასწავლებლები კი ცოტანი.

ზაქათალაში, შუშაში და ალექსანდროპოლში უმთავრეს ინსპექტორს თხოვნა მიართვეს, რომ ადგილობრივი სასწავლებლები გადიდდეს; დიდს მთავარს ნამესტნიკს ფოთიდამ და ახალ-ქალაქიდამ თხოვნა მოართვეს, რომ იმ ადგილებს სასწავლებლები გახსნან. რაჭის გლეხებმა თვითონ შესწირეს კარგა-ძალი ფული სასწავლებლის გასახსნელად.—

სამწუხაროთ კიდევ ვერ ვიტყვით, რომ სასწავლებლები კარგს მდგომარეობაში იყვნენ; ამ მხრით ბევრი უნდა გვეშრომა; ყველა გიმნაზიებში ცვლილება დაწყებულია, მუთაისის გიმნაზიას გარდა; ამის ვამო ცხადია, რომ კარგი წესი ჯერ კიდევ არსად არის საბოლოოთ დამყარებული. ზნეობითის მხრით, მუთაისის გიმნაზიას გარდა, წარსულის წლის

დღე საქეიფოთ. ახლა წაეედით დიდუბისკენ, ცოტანი კი ვიყავით. იქ შემოგვხდნენ ხუთი ექვსი კაცები, რომლებიც ქეიფსა სწვევდნენ. იმათთანაც რაღაზედაც მოგვივიდა ჩხუბი და ულმერთოთ ვსცემეთ, ერთმა ჩვენგანმა ერთი იმათგანი სამ-ოთხ ალაგას დანითაც დასჭრა. ამანაც არხეინათ ჩაგვიარა, თუმცა კი გამოძიება იყო დანიშნული. ერთ წელიწადს კიდევ ზაფხულში დიდუბეში დოღის წრეში ჰიდაობა იყო გამართული. იქ ჰიდაობდნენ ერთი მართლის გამოჩენილი ფალავანი და ერთიც ახალი მოსული კროა. ამ დღეს რაღაცა უქმე დღე იყო და თითო-ოროლა საათს დაეეთხოვენით შინგირდები პანსიონიდამ. აეყევი ფეხის ხმას და მეც წაეედი სანახაეათ. იქიდამ როცა დავბრუნდით, მე მოეყეებოდი ოთხს თუ ხუთს ჩემ ამხანაგებს. ჩვენ წინ მოდიოდნენ ორი სომხის ბიჭები. ჩვენ ქართულათ ელაპარაკობდით და ისინი სომხურათ. ჩვენ ვაქებდით ქართულ ფალავანსა, ისინი აძაგებდნენ. ამაზე შეგეექნა ლაპარაკი; ლაპარაკი ჩხუბათ გახდა და ჩვენ ხელიც გამოვიღეთ. ეს ხუთნი თუ ექვსნი გამოუდექით ამ ორ სომეხსა და დაუწყეთ ცემა; ისინი ყვიროდნენ ხან: „მერილე ტო,“ ხან „ოტკეცე ტო“. ამაზე შემოგროვდნენ ბლომათ სომხის ბიჭები და დაგვიწყეს ჯაერობა და მუქარა, ხელის გამოღება კი ვერ გაებედნათ, რადგანაც კარგათ გვიცნობდნენ, რომ არ შევარჩენდით. ჩვენი ამხანაგებიც ბევრნი შემოგროვდნენ და უფრო დიდი გული მოგვეცა. ამ დროს გამოჩნდა ერთი კაცი და დაგვიწყო ჯაერობა, სხვა და სხვა რიგათ გვაშინებდა, მაგრამ ჩვენ იმისი არა გავიგონეთ რა. რომ ნახა არა გაჰსდის რა, ბძანება მისცა„ დაჰკარითო“. ამის თქმა და ორმოცი მეტი კინტო ბიჭების შემოხვევა ერთი იყო; დაგვიწყეს ცემა-ტყეპა, მაგრამ არც ჩვენ ვაკლდებდით; ჩვენ მოგვეშველნენ ქართველი ბაზრის ბიჭები და წინაღამ ერთი ერთმანეთი არ ამოეხოცეთ, მანამდის ზემოხსენებულმა კაცმა იასაულებით არ გაგვაშველა.

განმაელობაში არა თუ არსად არ მომხდარა რაიმე უსიამოვნო შემთხვევა, არამედ უმთავრესს ინსპექტორამდის ერთი მცირედი რამე ჩივილიც არ მისულა.

მუთაისის გიმნაზიის შესახებ კი ფიცხი განკარგულება მოხდა იქაური უწესოების გამო; ერთი კლასი ოთხ თვეს დაიხურა, 13 მოსწაველე გამოირიცხა. ეს მკაცრი განკარგულება და ახალი დირექტორის დანიშვნა გვაიმედებენ, რომ ამისთანა შემთხვევა მეორეთ აღარ მოხდება.

ორკლასიანი უეზდის სასწავლებლები, გამზადებელ კლასის გარდა, სწორეთ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებენ, რადგან ამ შკოლებში ძალიან ბევრი მოსწაველეები არიან. მიუცილებლად საჭიროა, რომ ამ სასწავლებლებში ორი კლასის მაგივრად სამ-სამი კლასი გაიხსნას.

მას აქეთ, რაც მხარის საბედნიეროდ მისი იმპერატორების უმაღლესობა დიდი ქნეინა ოლგა თეოდორეს ასული მობრძანდა, ქალების განათლებას სამაგალითო წარმატება მიეცა; უწინ კი ქალების განათლება ძალიან მძიმეთ მიდიოდა. მისმა იმპერატორების უმაღლესობამ გახსნა პირველი რიგის ქალის სასწავლებელი გარედამ მიმსველელს ქალებისათვის.

საზოგადოებამ ბევრი თანაგრძნობა გამოაჩინა ქალების სასწავლებლების გახსნაზედ; ყმაწვილების სასწავლებლებისათვის კარგა-ძალი ფული შეგროვდა მხოლოდ მუთაისის გუბერნიაში, რაჭის გლეხებისაგან, რომლებმაც მისცეს მთავრობას სამი ათას ოცდა თერამეტი მანეთი, ოთხი აბაზი და სამი შაური, რომ დაბასა ონს სასწავლებლისთვის სახლი ააშენონ.—

მკითხველო, ხომ არ გიკვირთ, რომ ამ რიგათ გამოზდილი მოამბე თავისი ამხანაგებით ამისთანა საქმეებში ერევა? ხომ არ გიკვირთ, რომ ესე მოუთმენელი, მოჩხუბარე და შეუწყალებელი არის? დიახ, ზოგიერთისთვის ეს გასაკვირველია, რადგანაც დარწმუნებულნი არიან, რომ მათრახქვეშ გამოზდილი ყმაწვილი ჭკვიანი და მომთმენი იქნებაო, რომ მტრულად გამოზდილი მოყვრულად გამოადგებაო. მაგრამ ვინც ამ მამაპაპურ ცრუ მორწმუნებას თავს დაანებებს და დაფიქრებით და თვალ-გახელილი დააცქერდება ნამდვილ საქმეს,—ამაში გასაკვირველი არა არის რა; ეს იყო პირდაპირი და მიუცილებელი შედეგი მოამბის ცხოვრებისა; ამ გარემოებაში იმას უეჭველათ ყოველი ზნეობითი კანონები და დარიგებაები არ შეეთვისებოდა, რადგანაც დარწმუნებული არ იყო მათ სიჭეშმარიტეში და უფრო კიდევ იმისთვის, რომ ის ლამის ჯიბრში უდგა თავის მასწავლებლებს. ის იმათ ხელში უეჭველათ ესე იფიქრებდა: „დაიცადეთ თქვენ ხომ მცემთ და რაღაებსაც მასწავლით, რომლებსაც თითონ თქვენ არ აკეთებთ; ერთხელაც არის დაგიძვრებით ხელიდამ და მაშინ მე ვიცი.“. მაშ რა ქნას, რომ ესე არ იფიქროს, როცა იმას ცემით უმტკიცებენ რისამე სიჭეშმარიტეს? უმაწვილი გარს შემოზღუდულია ყოველ გვარი ცუდი მოქმედებით, სხვა და სხვა საქმეებისთვის სხვა და სხვა მაგალითებს ხედავს როგორც მასწაველებლებში ისე ამხანაგებში, ერთი სიტყვით გარემოებაში. ამისთვის ისიც იმათ მიბაძვით ცდილობს ეგრეთვე იმოქმედოს, რადგანაც უმაწვილი მარტო მიბაძვით ცხოვრებს, მაგრამ ნებას არ აძლევენ; დარწმუნებით ანუ ცემით უნდათ დააჯერებინონ რისამე ვარგისობა და სიჭეშმარიტე, როცა თითონ ამას არ აასრულებდნენ. ამ დროს უმაწვილი ბუნებითად ამას ფიქრობს:„ ძალა აქვს და ამერეკა, შეუძლიან და მცემს“. ის სხვა ვერაფერს ვერ იფიქრებს თავისი მასწაველებლების ქცევაზე და შთაგონებაზე; ის ამისთანა გარემოებაში ვერაოდეს ვერ წარმოიდგენს თავის თა-

პირველი და უმთავრესი საქმე ის უნდა ყოფილ იყო, რომ ქავკასიის აქეთის სამოსწაველო საუწყებოსთვის პროექტი შემდგარ-იყო. როდესაც ეს პროექტი საქმით ასრულდება, მაშინ დაკმაყოფილდება ის სურვილი განათლებისა, რომელსაც ასე ხმა მაღლა აცხადებენ ქავკასიის იქითი და აქეთა მხარეები; რაც ამ მხარეებში სასწავლებლები იმყოფებიან, ისინი ყველას მჭიდროთ ავსებენ მოსწაველეებითა. ქავკასიის აქეთა მხარის გიმნაზიებს და მდაბალი ხარისხის სასწავლებლებს იმპერიაში პირველი ადგილი უჭირავთ მოსწაველეების სიმრავლით, ამისთვის რომ იმპერიაში ყველაზედ უფრო დიდი რიცხვი მოსწაველეებისა არის პირველს მოსკოვის გემნაზიაში, სადაც ირიცხება 638 ყმაწვილი და მეორეს კიევის გიმნაზიაში, სადაც 643 ყმაწვილია; ამ გემნაზიებს ტფილისის გიმნაზიაზედ უფრო ცოტა მოსწაველეები ჰყავთ, რადგანაც აქ ითველება 660 ყმაწვილი; ამ რიცხვზედ ცოტათ ნაკლები არის მუთაისის გიმნაზიაში. რუსეთის იმპერიაში არც ერთს უეზდის სასწაველებლებს იმდენი მოსწაველე არა ჰყავს, რამდენიც შუშის, ერევნის, ბანჯის და სხვა აქაურ უეზდის სასწაველებლებში ითველებიან.

„დროების“ კორრესპონდენცია.

მ. ხ. უფალო რედაქტორო!

ქ. თელავში დიდ გალავანში იყო ძველი სახლები, რომლებსაც ეწოდებოდა მეფის სასახლე; ამ შენობის განახლება ისურვა მისმა იმპერატორების უმაღლესობამ ნამესტნიკმა ქავკასიისამ, და ზედ-მიდგმით მოუმატეს რამდენიმე სახლები წარსულს 1866-ს წელს. მართლადაც, რომ დიდი და მშვენიერი შენობაა. ეს სახლები

ვს დანაშაულათ; ცემა-ტყეპას მხოლოდ მასწავლებლების სიავეს და ბოროტ-კაცობას აწერს; თავისი თავი სრულიად უბრალო ჰგონია და ამისთვის არც დაიშლის თავისი წადილის ასრულებას და აღკრძალული საქმის გაკეთებას, თუ კი დრო მოიხელა სადმე. ძიდევ გავიმეორებ: მოამბის ქცევაში გასაკვირველი არა არის რა; იმის ნამოქმედი მისი გარემოების პირდაპირი და მიუცილებელი შედეგია. ჩვენში მარტო შიშით უნდათ ჩაგონონ ყოფაქცევის კანონები და ის კი ვერ წამოუდგენიათ, რომ შიში მარტოკა გარყვნილობის გზაზე დააყენებს მის ქვეშ მყოფსა; შიში ყმაწვილის გულსა და ფიქრს ძნელათ დაიმონავებს—ის მოქმედებს გარეგან მის მიხერა-მოხერაზე; ამასთან ის მოქმედებს დროებითად და არა სამუდამოთ. ამისათვის საცა ყმაწვილი შიშს აღარა ხედავს, უეჭველათ ყოველ გვარ თავისუფლებას მიეცემა; მაშინ გაიშლება და ფრთებს შეისხავს შევიწროებული მისი თავისუფლება; რაც ამ შეიწროებამ დააკლო იმას, იმით ეხლა გადააჭარბებს. ასე მოიქცეოდა უეჭველათ გაურყვნელი და დაუსუსტებელი ყმაწვილი. მე კი არ მგონია და თუ იქნება ისეთი ყმაწვილი, რომელსაც შიში სულით და ხორცით დაიმონავებდეს, რომელიც შიშისაგან ერთ დაყენებულ გზაზე შეუცვლელათ და უმტყუნრათ მიდიოდეს—მაშინ ის აღარც ამ ქვეყნისა იქნება; იმას ყვავებიც შესჭამენ, როგორც იძახიან ხოლმე; ის სრულებით უფიქრელი და მოუსაზრაი იქნება და მისგან თავისდღეში არაეითარი ხეირიც არ იქნება; იმისი არსებობა ქვეყანაზე ლობიოს ამოსვლას და გაზდას ეგვანება: ერთი სიტყვით ის კაცი არ იქნება. შიშში გამოზდილი ყმაწვილი უეჭველათ პირმოთნეა—უამისობა არ იქნება. და ამისათვის დროა მგონი, რომ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში დაიეწყონ მამაპაპური შიშში აღზრდა—აქედგან ვნების ჭეტი არა გამოდის რა.....

.....

1866 წ. ნოემბრის 15 ბ. ჭ—შვილი.

მზადდება წმინდის ნინოს ზავედენიისათვის. ამ ჟამათ ზავედენიის ნაჩალნიცასა ჰყავს თხუთმეტამდის მოსწავლე ყმაწვილი ქალები თვისთანა. რა რომ ეს შენობა შესრულდება, ზავედენიას მიეცემა წარმატება შეილების ალსაზრდელათ. ამას დიდის სიამოვნებით მოელის კახეთის მხარე. წარსულს 1866-ს წელსა ყოფილა ორი წარმოდგენა ქართულის თეატრისა 1—გაყრა და 2—მზის დაბნელება; პუბლიკასაც დიდი სიამოვნება მიუღია წარმომდგენელთაგან და რაც შემოსავალი ყოფილა ზავედენიის სასარგებლოდ გადუდეიათ. ახლა ამ ყველიერის კვირაშიაც აპირებენ ერთ ერთის ქართულის პიესის წარმოდგენასა იმ განზრახვით, რომ შემოსავალი ფული გადიდეს ზავედენიისათვის. ამასთანავე აქაურთა განათლებულთა ქალთა რამდენიმე მშვენიერი თავიანთ ხელით ნაწარმოები ნივთები შეუმზადებიათ ლატარიაში სათამაშებლათ; ამ ლატარიიდამ გროვდება ფული 200 მანეთამდე, რომელსაც სდებენ ზავედენიის სასარგებლოთ. ღვთის მადლით ეს მხარეც შედის განათლების მოძრაობაში.

უფალო რედაკტორო! ვგონებ, ამ გვარნი კეთილნი მოქმედებანი და განზრახვანი არ იქნება უჯერო, რომ შეატყობინონ ხოლმე კორესპონდენტების წესის და გვარად „დროების“ რედაქციასა გარდასაცემათ „დროების“ მკითხველთადმი. ქ. თელავი, 1867 წ. 10 თებერვალი. ზ. წი—რი.

პოლიტიკა.

ანგლია. ლონდონის მუშების თხოვნა. პარლამენტის ყრილობის დრო თანდათან ახლოვდება. ამასთანავე თანდათან ვრცელდება მღელვარება იმ ხალხის ნაწილში, რომელიც ხალხის წარმომადგენელებისაგან რასმე მოელის. ამგვარი მღელვარება უფრო მუშა ხალხშია. მუშებს უნდათ თხოვნა მისცენ პარლამენტს, რომ დღიური მუშაობის დრო შეუმცირონ; იმათ სურთ, რომ დღეში რვასაათის მეტი არ იმუშაონ. თხოვნაში ნათქვამია: ამ თხოვნის ხელი'ს მომწერნი დავრწმუნდით, რომ ახლა დადგა ის დრო, როცა უნდა შემცირდეს დღიური მუშაობის დრო ბამბის ფაბრიკებში, ამისთვის რომ კარგი მაშინებისგამო ბამბეულის კეთება ძალიან დაჩქარდა და თვით მუშების ჭკუას და ხელის ძალას უფრო დიდი ჯაფა მიეცა. ბამბის ნაწარმოების გამრავლებით და იმის ჩქარი კეთებით კაპიტალისტები და მეფაბრიკეები ძალიან იგებენ, მუშები კი ამისგამო დიდს ზარალში ვარდებიან და იძულებულნი არიან, რომ მცირე ფასათ იმუშაონ. მუშებს საშინელი ჯაფა ადგიათ, ქირასს კი ისე ცოტას იღებენ, რომ საზრდოთ არა ყოფნისთ და მეტი გზა არა აქეთ, თავის სარჩენათ მოწყალება უნდა ითხოვონ. წინათ რომ პარლამენტის ბილმა დღეში მარტო ათი საათის მუშაობა დააწესა, ამით იმან ძალიან სასარგებლო საქმე დაამყარა. მაგრამ მას აქეთ, რაც მაშინები ძალიან გაკეთდნენ, ასეთ ნაირად დაჩქარდა ყოველნაირი საქონლის ქსოვა და ნაწარმოები ისე გავრცელდა, რომ მუშების მდგომარეობა სრულებით აუტანელი შეიქნა. ქვემორე ხელის მომწერნი ბედვენ ყურადღება მიაქცევინონ ზოგიერთ ფაბრიკებში მომუშავე ყმაწვილებზედ, რომ იმათზედ უკეთესი ზედამხედველობა იქონიონ; აგრეთვე ისინი ითხოვენ, რომ დღიური მუშაობის დრო შემცირდეს. ამ ორ საქმის დაბოლოვებით პარლამენტის გარევა ალების და მუშების საქმეში ურიგო არ იქნებოდა. მუშები იმდენათ არიან თავიანთ ალებზედ დამოკიდებულნი, რომ სწორეთ გონიერი საქმე იქნებოდა, პარლამენტის აქტით რომ განისაზღვროს ალებსა და მუშებს შუა ურთიერთობითი დამოკიდებულება.

იტალია. იტალიის გაზეთებში სწერენ, რომ წასულს კვირას (20 და 21 იანვრის) ტურინის მუშა ხალხმა მოახდინა არეულობა. ეს არეულობა არ არის უბრალო საქმე, რადგნაც 116 კაცი დაიჭირეს. ამ ქალაქის გარდა არეულობა მოხდა სხვა იტალიის ქალაქებშიაც, სხვათა შორის ვენეციის ქალაქში—ქადორში და ერთ დაბაში, მილანის ახლო. ამ არეულობის მიზეზი არის ხორაგის დაძვირება, რადგანაც შარშან მოსავალი არ მოყიდა, ამიტომაც ყველა საზრდო ისე დაძვირდა, რომ მუშა ხალხს ცხოვრება გაუჭირდა.

ბელგია. ბრუსელიდგან იწერებიან, 4 თებერვლიდამ (22 იანვარს), რომ მარშიენნის ქალაქის მუშა ხალხის მღელვარება თუმცა ამას წინათ ცოტათ დაწყნარდა, მაგრამ ამ ჟამათ თან და თან ძლიერდება. ბრუსსელის გაზეთი „Etoile Belge“ ამბობს, რომ ეს მღელვარება მარშიენნის გარეშემო გავრცელდა, ესე იგი რუში და ჟუმეში. ამ ალაგებში ჯარები კიდეც გაგზავნეს.

ოსმალეთი. 17 (29) იანვარს. ამ უკანასკნელს დროს ფრანციის მმართებლობამ გამოიცვალა თავისი შეხედულობა ალმოსავლეთის საქმეებზედ; ამ ცვლილებას ჰქონდა ზედ-მოქმედება კონსტანტინოპოლის კაბინეტზედ. ეს მტკიცდება იმ უკანასკნელის ზომებით, რომლებიც ოსმალეთმა მიიღო. მაგალითებრ, ფუად-ფაშა, რომელიც ამ დღეებში განემგზავრება კანდიას, მარტო ერთი არ წავა, იმასთან იქნება სხვა კამმისარი—ქრისტიანებიდგან. ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთის მმართებლობას მშვიდობიანობის მოხდენა ჰსურს და ცდილობს შეირიგოს ამდგარი ხალხი; ამას თქვენ ვერ შენიშნავდით ოსმალეთის მმართებლობის უწინდელს მოქმედებაში.

ოსმალეთი ახლა დიდს განსაცდელშია; ყოველს მხარეს იმას ხალხი არეული ჰყავს. ეგვიპტის ვიცე-კაროლი, რომელიც აქამომდე ასე ბეჯითათ ეხმარებოდა ოსმალეთის მმართებლობას კანდიელების დასამშვიდებლათ, ცდილობს, რომ სულთნის ხელ-ქვეითობიდამ გამოვიდეს. პარიჟის გაზეთში Monde დაბეჭდილია კორრესპონდენცია კონსტანტინოპოლიდამ, რომელშიაც სწერენ ვითომც იზმაილ-ფაშას გაეგზავნოს წერილი უმაღლესის ვეზირისთვის შემდეგის მოთხოვნილებით: 1) ნება მიეცეს, რომ 100 ათასი ჯარი ჰყვანდეს; 2) აგრეთვე შეეძლოს სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის პირნი, როგორც მაღალნი, ისე დაბალნი, ჩინებით დაასაჩუქროს და 3) დაურიგოს ოსმალეთის ორდენები ოსმალეთის სულთნის დაუკითხავად. ცხადია, დაუმატებს მოხსენებული კორრესპონდენტი, რომ ეგვიპტის ვიცე-კაროლი არაფერს ამბობს იმ ხარჯზედ, რომელსაც ეგვიპტე ყოველ წლივ აძლევს ოსმალეთს. მაგრამ ამ გვარი საქმის დაცვა ძლიერ სამძიმო და უდრო-უდროა. ამასთან ესეც კი ადვილათ მისახდომია, რომ როდესაც ეგვიპტის ვიცე-კაროლს ეყოლება 100 ათასი ჯარი, მაშინ ის უთუოდ ასტეხს ლაპარაკს სამოცდა ხუთმეტ მილიონს პიასტრზედ, რომელიც ხარჯათ აწერია ეგვიპტეს. გარდა ამისა ამტკიცებენ, რომ იზმაილ-ფაშას აღარა ჰსურს, რომ ეწოდოს ვალი, ე. ი. გენერალ-გუბერნატორი, იმას უნდა მიიწეროს ტიტული azizi misr—სამღვდელო ეგვიპტის თავი. ბევრნი ამტკიცებენ, მეჰმედ-ალის შვილის-შვილი ფიქრობსო, რომ მიითვისოს ეგვიპტის ხალიფის ტიტული.

—ოსმალეთის ახალი კამმისარის გაგზავნა კანდიას. Indépendance Belge'ში სწერენ, რომ სულთანმა კანდიას გაგზავნა ახალი კამმისარი. ამან უნდა გამოიძიოს, თუ რა მიზეზია, რომ კანდიის დამორჩილება აქამომდე ვერ შეიძლეს და ყოველგვარი ღონისძიება იხმაროს, რომ კანდია სწრაფათ დაამშვიდოს. ამ ახალს კამმისარს დიდი უფლება აქვს მინიჭებული. იმას ნება აქვს, რომ კანდიელებს ბევრი რამ დაუთმოს და იმათი მოთხოვნილება აასრულოს; ის მისცემს ნებას, რომ იმათ კონსტანტინოპოლში თავისი დეპუტატები ჰყვანდეთ, რომლებიც გამოაცხადებენ ხალხის ჩივილს და სურვილს. მხოლოდ ეს კი აღარ ვიცით, დასთანხმდებიან თუ არა ამაზედ კანდიელები? ჩვენ მარტო ის ვიცით, რომ მუსტაფა-ფაშის პირობაები იმათ სრულებით არ შეიწყნარეს.

საბერძნეთი. ბიოგრაფიული ცნობა კორონეოსზედ და ზიმვრაკაკზედ.

გაზეთში Orient ორს უმთავრესს კანდიელების წინამძღომლებზედ, კორონეოსსა და ზიმვრაკაკზედ, შემდეგი ბიოგრაფიული ცნობებია დაბეჭდილი. კანდიელების წინამძღომელი პოლკოვნიკი პანოს კორონეოსი დაიბადა კონსტანტინოპოლში 1811 წ. ის დიდხანს იყო საბერძნეთში არტილერიის კამანდირათ; 1860 წ. თავის სურვილით შეირიცხა უმთავრესს შტაბში ფრანციის საექსპედიციო კორპუსისა, რომელიც სირიისათვის იყო გამზადებული. 1861 წ. მას და ლიბერალური პარტიის წევრებს დასწამეს მონაწილეობა შეთქმულობაში, რომელიც კაროლი ოტტონ I მმართებლობის წინააღმდეგ იყო განზრახული. კორონეოსი დაიჭირეს და საქმის გადაწყვეტამდის, ნავპლიის ციხეში ჩასვეს. ციხეში ჯდომის დროს როგორღაც მოეხერხებინა და კავშირი დაეჭირა არტიმეზთან, ზრივასთან, ზაკეიტლანოსთან და სხვა პატრიოტებთან, რომლების შემწეობით საპყრობილედამაც თავი გაითავისუფლა. განთავისუფლებელი კორონეოსი ხალხის ადგომის თავი გახდა ნავპლიაში. 1861-ის წლის ნოემბერში კორონეოსი დასჭრეს ერთს პატარა ომში კაროლის ჯარებთან და თვითონაც შეიპყრეს. 1862 წ., როცა რევოლიუცია მოხდა და ოტტონმა ტახტი დაკარგა, ის კიდევ ხალკიდონის ციხეში იჯდა. საპყრობილედამ რომ გამოვიდა, კორონეოსი თავმჯდომარეთ გახდა კომიტეტისა, რომელიც სანაციონალო გვარდიასა და აკადემიურს ლეგიონს ადგენდა ათინაში. ის რამდენსამე ხანს სამხედრო მინისტრათ იყო და მერმეთ ისევ სანაციონალო გვარდიის უმფროსობა მიიღო; ბოლოს ამ უფროსობაზედაც ხელი აიღო და ამდგარის კანდიელების წინამძღომელი გახდა.

—იოანე ზიმვრაკაკის დაიბადა კანდიის კუნძულზედ და იქნება ახლა ორმოცის წლისა. რევოლიუციის დროს ზიმვრაკაკი უფროსის შტაბის კაპიტნის ჩინში საბერძნეთის არმიის დივიზიის კამანდირი იყო. როცა კანდიელები ადგნენ, ზიმვრაკაკმა სამსახურს თავი დაანება და წავიდა კანდიაში, სადაც ახლა 12 ათასი ვოლონტერის წინამძღომელია.

ამერიკა. ლინკოლნის ცოლმა გაუგზავნა წერილი იმ კამიტეტს, რომელსაც ჩამოესხმევინა მედალი იმის ქმრის მოსაგონებლად:

ჩიკაგო, 22 დეკემბერ'ს 1866 წ. (3 იანვარს 1867 წ). მ. ხ. მედალი, რომელიც თქვენ მოგანდევს ჩემთვის გამოსაგზავნათ, მივიღე. მე არ შემიძლიან გამოგიცხადოთ ის გრძნობა, რომლითაც მე აღვივსე, როდესაც მივიღე მედალი, რომელშიაც მონაწილენი იყვნენ რამდენიმე ათასი თქვენი მემამულეთაგანი. ამ გვარი უდიდესი ნიშანი ჩემი ქმრის სახსოვრად, რომელიც თავისუფლებისთვის იღვაწოდა, ღრმათ აღძრავს ჩემს გულს, და გთხოვთ, რომ მიიღოთ ჩემი მადლობის განცხადება როგორც თქვენ, ისე იმათ, რომლების წარმომადგინელებიც თქვენა ხართ.

—კონგრესის რეზოლუცია პრეზიდენტის ჯონსონის სამართალში მიცემაზედ. „სანაციონალო გაზეთში“ სწერენ 8 იანვარს, ნიუ-იორკიდამ: „დეპუტატთ-პალატამ—107 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 39 ხმისა გადასწყვიტა, რომ სამსჯავრო კამიტეტმა გამოძიება მოახდინოს ანდრიუ ჯონსონზედ, რომელსაც მრავალს სამძიმო საქმეებში დანაშაულათ ჰპოვებენ.

„სამსჯავრო კამიტეტი შესდგება ცხრა წევრიდამ; რვა იმათგანი რადიკალები არიან, ერთი დემოკრატი. დეპუტატთ-პალატას არა ჰსურს, რომ ჯონსონზედ დაწყებულს სამსჯავრო სენატის წევრებისაგან შედგენილი, მანამდის სენატის პრეზიდენტათ იქნება უ. ფორსტერი—კონსერვატორი; ის არის სუსტი ხასიათის და გაუბედავი კაცი.

გარდა ამისა პალატა არ ივიწყებს იმას, რომ თუ ჯონსონი დაითხოვეს სამსახურიდამ 4-ს მარტზედ წინათ, მაშინ პრეზიდენტის ალაგს დაიჭერს უ. ფორსტერი, რომელიც ბევრით არაფრით განირჩევა ახლანდელი პრეზიდენტისაგან და მაშასადამე იმისი პრეზიდენტობაც არაფერს სარგებლობას არ მოიტანს. რადიკალები უფრო სასარგებლოდ რაცხვენ, რომ ჯონსონს თავისი სამსახური არ ჩამოართვან 4 მარტამდის. 5-ს მარტს თავდება ფორსტერის სამსახურის ვადა. მაშინ სენატის პრეზიდენტათ ამოირჩევენ მხნეს და გამბედავს ვენიამინ ვადეს, ოღიოს შტატიდამ. თუ მაშინ შეიტანეს წინადადება ჯონსონის სამართალში მიცემაზედ, საქმე სულ სხვა რიგათ იწარმოებს.

„ჯონსონი სულაც არა ფიქრობს კონგრესთან შერიგებას. ამ შემთხვევაში ის ალმოაჩენს გასაოცარს სიმტკიცეს და შეუცვლელობას. ჯონსონმა გამოაცხადა თავისი veto იმ სჯულის პროექტზედ, რომლის ძალითაც ნეგრებს შეეძლოთ მონაწილეობა მიელოთ კოლუმბიის შტატის ალმორჩევაებში. ჯონსონმა თავისი veto გამოაცხადა ერთს მეტათ გრძელს ეპისტოლეში, რომელმაც დაიჭირა 6—8 გაზეთის სვეტი. პრეზიდენტის დამტკიცებაებმა სრულიად არ იმოქმედეს კონგრესზედ. სენატმა, პრეზიდენტის veto-ს წინააღმდეგ, დაამტკიცა სჯულის პროექტი. წარმომადგინელების პალატაც უთუოდ ასე მოიქცევა. პრეზიდენტის მოწინააღმდეგენი ფიქრობენ, რომ პრეზიდენტის აზრების გამტყუნება არა ღირს არც დროს დაკარგვათ და არც ცუდ-უბრალო ლაპარაკათ. მაგალითებით ამტკიცებს, რომ ისინი, ვისაც ალმორჩევითი სიმართლე მინიჭებული აქვთ, შეადგენენ მხოლოდ ამერიკის ხალხს; ის ამბობს, რომ სხვა პირების მონაწილეობა ალმორჩევაში ხალხის სიმართლის დარღვევა იქნებაო. ჯონსონს მოჰყავს კიდევ სხვა დამტკიცება, რომ ნეგრებს, ალმორჩევაში მონაწილეობა არ უნდა მიეცეთ ჯონსონი ამბობს, რომ თუ ნეგრებმა ამ გვარი სიმართლე მოიპოვეს, ეს უფრო გააძლიერებს მტრობას და სიძულილს ამ ორს ტომს შორის, რომელიც უფრო საენებელი იქნება ნეგრებისთვის, მინამ სასარგებლოა. ჯონსონი ისე სჯის, როგორც სჯიდნენ მონაობის მომხრენი. ესენი ამტკიცებდნენ, რომ რამდენათაც ემანციპატორები ეხმარებიან ნეგრებს იმდენათ იმათი მდგომარეობა უფრო აუტანელი და სატანჯველიაო. რა მიზეზია? ის რომ პლანტატორები განრისხებულნი არიან, რომ ნეგრებს გაათავისუფლებენ, და ამისგამო იყრიან თავის ჯავრს ამათზედ (ნეგრებზედ). მაშასადამე პლანტატორები კი არ არიან ნეგრების მწვალებელნი და მტანჯველი, არა, ესენი არიან ფილანტროპები—ფარისეველნი. რასაკვირველია, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყველა გათავისუფლებულს ნეგრებს განურჩევლად შეეძლოთ მონაწილეობის მიღება ამორჩევაში; მაგრამ ვერც იმას ვიტყვით, რომ ნეგრებს არ უნდა მიეცეთ ხმის მიცემის სიმართლე ამორჩევაში, რადგანაც ისინი შავები არიან და არა თეთრები. ტყუილად არიან სამხრეთლები ნეგრების წინააღმდეგნი, მაშინ როდესაც 200 ათასი ნეგრი ეხმარებოდა კავშირის გამარჯვებას, როდესაც იმათ ჰქონდა მოხსენებული სიმართლე.

— უზენაესი სამსჯავრო და შეერთებულის შტატების კონგრესი. „შეერთებულის შტატების მოამბე“ აი რას ამბობს უზენაესს სამსჯავროსა და კონგრესს შუა ურთიერთობით მდგომარეობაზედ: „უზენაესის სამსჯავროს გადაწყვეტილებამ კიდევ

უფრო გააფიცხა რადიკალური პარტია. უ. ლონმა, მისსურის შტატის დეპუტატმა, შეიტანა პალატაში წინადადება, რომლის გამოც იქ ცხარი ბაასი გაიმართა. „39 კონგრესმა დაუყონებლივ უნდა მოიხმაროს ყოველი გვარი ღონისძიება შემდეგის საქმის მოსახდენათ, რომ რესპუბლიკელების ძლევამ განდგომილებზედ და მოღალატეებზედ უნაყოფოთ არ ჩაიაროს: 1) თანამდებობის პირი, რომელსაც ახლა ჩრდილოეთ-ამერიკის პრეზიდენტის ადგილი უჭირავს, სამართალში უნდა მიეცეს და თანამდებობა უნდა ჩამოერთვას, რაკი კონგრესი აღმოაჩენს იმის ბოროტ-მოქმედებას და იმისგან ჩადენილს დანაშაულობას, რომლის მოთმენაც ამაზედ მეტათ აღარ შეგვიძლიან, რადგანაც ის შეიქნა ქვეყნისთვის სასაშიშრო. 2) უნდა დაარსდეს ახალი მთავრობა, რომელიც თავგადადებული იქნება ამ ქვეყნის სარგებლობისთვის“. ამ წინადადების შესახებ, უ. ლონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც სასტიკის გაკიცხვით გადაემატა ყველა სიტყვებს, რაც კი აქამომდე კონგრესში წარმოთქმულა. იმან უშიშრად შესწამა პრეზიდენტს, ვითომც ის ლინკოლნის სიკვდილში გარეულიყოს. ამ გვარმა სიტყვებმა ასეთ რიგათ გააცეცხლა კონგრესი, რომ საშინელი ყვირილი ასტყდა და უ. ლონს, მეტი გზა არ ჰქონდა, თავისი შეწამება უნდა გადაეთქვა. ამ წინადადებას დიდი მნიშვნელობა არ ექნება, მაგრამ ის მაინც ამტკიცებს ახლანდელის კონგრესის წევრების მთრთოლვარე მოუთმენელობას, რომ პრეზიდენტი სამსახურიდამ გადააყენონ.

ტელეგრამები,

პეტერბურგში მიღებული.

ათინა, 21 იანვარს (2 თებერვალს). საბერძნეთის დეპუტატთ-პალატამ დაამტკიცა სჯულის პროექტი, რომ საბერძნეთის სამხედრო და ზღვის ძალა გაძლიერდეს. ამ პროექტის განსჯის დროს, სამხედრო მინისტრმა სთქვა; „ჩვენ უნდა შევიარაღდეთ, რადგანაც ჩვენ მოგველიან უდიდესი საქმენი, რადგანაც ჩვენ გვსურს მშვიდობიანობა შეურყეველად დავიცვათ.“

სამხედრო მინისტრმა, პოლაპორიტისმა გამოაცხადა ამასთან, რომ საბერძნეთის საზღვრების გაფრცელება და ჰელლინის ხალხობის შედგენა იმისთანა ღონისძიებანი არიან, რომლებიც აღადგენენ საბერძნეთს და დაუმკვიდრებენ იმას ბედნიერებას.

კონსტანტინოპოლი, 24 იანვარს (5 თებერვალს). როგორც ისმის, კანდიელები არ არიან თანახმანი იმ ავტონომიაზედ, რომელსაც იმათ ოსმალეთის მმართებლობა ჰპირდება. ისინი ითხოვენ, რომ კანდია საბერძნეთს შეუერთონ და თუ ამას არ აუსრულებენ იმას ჰსურს უწინდებულს მდგომარეობაშივე დარჩეს, მინამ იმათის შეერთებისთვის უკეთესი დრო არ მოვიდოდეს. ანგლიის და ფრანციის აგენტები ცდილობენ, რომ კანდიელები ამ ავტონომიაზედ დაათანახმონ.

ოსმალები, უწინდებულათ, აერცელებენ ჭორებს, რომ განდგომილები თან და თან მორჩილდებიან და კუნძულიდამ გადიანო. კანდიაზედ მოელიან, რომ ოსმალებს შეტაკება ექნებათ ერთს ბერძნების რაზმთან, რომელსაც წინამძღვრობს კორონეოსი. ამასა გარდა დღითი-დღე მოელიან ცეცხლის-გემს „არკადიას“, რომელიც ანგლიიდამ კიდეც გამოვიდა.

ამბობენ, რომ მგვიპტის ვიცე-კაროლის მოთხოვნილებანი სულთანმა სრულიად უარჰყო.

ანგლიის ესკადრა სდგას სირიის და მგვიპტის მახლობლათ; ამ შემთხვევამ კონსტანტინოპოლში მიაქცია ყველას ყურადღება.

ოსმალეთის მმართებლობამ თავის სამფლობელოში გასცა ბრძანები, რომ მგვიპტის შავი ფული აღარ მუშაობდეს, მაშინ როდესაც ამის წინა დღეს იმან ბევრს დაურიგა ჯამაგირში ეს ფული. ამისთანა განკარგულებამ დაბალს ხალხში დიდი სიძულვილი აღძრა.

ხვალ ბაირამს დღესასწაულობენ; ამბობენ, რომ სამინისტრო გამოიცვლება.

თუმცა საბერძნეთის მმართებლობა ცდილობს, რომ ხალხი დაამშვიდოს, მაგრამ თესალიაში და ეპირში არეულობა თან და თან ძლიერდება. ოსმალებმა დაუწყეს ომი აგაფელებს და რადოვიცელებს. კოსტანტინოპოლში მოვიდა ცნობა, რომ ოსმალები ორს ალაგას დამარცხდნენ; იმათ მრავალი კაცები დაეხოცათ და დაერჩოთ.

ათინა, 23 იანვარს (4 თებერვალს). საბერძნეთის მმართებლობამ შეიტანა დეპუტათ-პალატაში სჯულის პროექტი იმაზედ, რომ საბერძნეთის მთავრობამ იცისროს ანგლიის 1855 წლის სესხი, რომელიც ივალეს განმათავისუფლებელ ბრძოლის დროს.

საბერძნეთის მთავრობას უნდა ახალი სესხი აიღოს.

ბუხარესტში, სერბიაში და ჩერნოგორიაში საიდუმლო აგენტები გაგზავნეს. შეთქმულობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საბერძნეთის საზღვარზედ ოსმალეთს ხალხი გაანუყონოს.

კელნი, 25 იანვარს (6 თებერვალს). დღეს კელნის გაზეთში სწერენ: „როცა ფრანციის პალატების ყრილობა დაიწყო, იმპერატორმა ტრონით სიტყვაში გამოაცხადა, რომ რუსეთი, ფრანცია და ანგლია შეთანხმდნენ ერთგვარად იმოქმედონ ოსმალეთის მთავრობის შესახებ საქმეებში. სულთანის ქვეშევრდომ ქრისტიანებისთვის რეფორმას ამზადებენო.

ტფილისში მიღებული.

პეტერბურგი, 8 თებერვალს. ავსტრიის სამაზრო სეიმების ყრილობანი დაიწყო 6 თებერვალს; იმათ უნდა ამოირჩიონ კონსტიტუციის თანახმად დეპუტატები რეიხსრატში, რომელიც 6 მარტს გაიხსნება და კონსტიტუციას განიხილავს. იგივე რეიხსრატი განსჯის სჯულის პროექტებსა, რომელნიც შეეხებიან დეპუტატების დანიშვნას რჩევის კამისიებში, სადაც განიხილება მთელი სახელმწიფოს შესახები საქმეები, მინისტრების პასუხისგებას, მაზრების თვით გამგეობაზედ ნებართვას და სხვ. ვენგრიის სეიმების ქვემო-პალატაში წაიკითხეს კაროლის რესკრიპტი, რომელმაც გააუქმა პატენტის ძალა სამხედრო ვალდებულებაზედ. ეს ვალდებულება განისჯება კონსტიტუციური გზით. დაჰპირდნენ ვენგრიის კონსტიტუციის ადგენას; ვენგრიის სამინისტროს დაარსებას და გამოაცხადეს, რომ ანდრასი დაინიშნებაო ამ სამინისტროს პრეზიდენტათ. პალატამ რესკრიპტი აღტაცებით მიიღო. იტალიის ახალს სამინისტროში მინისტრების რჩევის პრეზიდენტათ რიკაზოლია, უცხო საქმის მინისტრათ ვისკონტი-ვენოსტა, სამხედრო მინისტრათ კი ჰუაჯია.

პეტერბურგი, 11 თებერვალს. ჰონსტანტინოპოლში ელიან ლორდის სტრადფორდის რადკლიფის მოსვლას. იმას აქვს დიდი მინდობილება დიდ-ბრიტანიის მთავრობისგან.

პეტერბურგი, 14 თებერვალს. 24 თებერვალს გაიხსნა გერმანიის პარლამენტის ყრილობა. პრუსსიის კაროლმა ტრონით-სიტყვაში ცხადათ დი ბეჯითად წარმოსთქვა მთელი გერმანიის პოლიტიკურად შეერთების სურვილი. გერმანიის მოძრაობა მეზობლური სახელმწიფოების საწინააღმდეგო არ იყო. იმას არ ჰსურდა გარეშე მხარეების დაპყრობა. ამ მოძრაობის განზრახვა ის იყო, რომ ალპიდამ მოკიდებული ზღვამდე ერთი სახელმწიფო შეედგინა. ჩვენს ერთობაზედ დამოკიდებულიაო ჩვენი მომავალი სვე. აგრეთვე მთელი გერმანია, ჩრდილოეთის კავშირს იქითაც მოელისო ჩვენს გადაწყვეტილებას. პაროლი ურჩევს პარლამენტს წინდახედვით იმოქმედოს, რომ საქმის მშვიდობიანათ დაბოლოვებას არა ვითარი დაბრკოლება არ მიეცეს.

პეტერბურგის ბირჟის ამბავი, 28 იანვარამდის. (*) თუმცა აქამდის ბირჟაზედ იყო დიდი მოძრაობა, მაგრამ აღებ-მიცემობა სულ ნაღდათ იყო და ვექსილებს არ ჰქონდა გასავალი. ფული ბევრია ბირჟაზედ, მაგრამ 12% ნაკლებ არ აძლევენ. პირველი შინაგანის სესხის ბილეთები მოგებით (билеты 1-го займа съ выйгришами) ძალიან იშვიათათ იყიდებოდა და 107 მანეთზე ზევით არ აწეულა.

მეორე შინაგანის სესხის ბილეთები მოგებით უფრო მეტი გაიყიდა და იყიდება, რადგანაც მოახლოვდა მარტი, როდესაც უნდა მოხდეს ლატარია. 106 მანეთზე ზევით არ აწეულა თითო ბილეთის ფასი. (**).

5% ბანკის ბილეთებმა თუმცა აიწიეს, მაგრამ ამ მდგომარეობაში დიდხან ვერ დაჰყვეს, და ისევ დაეცნენ 77 მანეთამდინ.

რადგანაც წასულს წელიწადს იყო კარგი მოსავალი ჭარხლისა, ამიტომაც მოსკოვში შაქარი ძალიან ბევრია და ძალიან იაფათაც ფასობს. ამისგამო, ყველას იმედი აქვს, რომ საზღვარ-გარეთიდგან შაქრის მოტანა საჭირო აღარ იქნება. ბამბის ფასი თან და თან კლებულობს; გაზაფხულზედ, როცა ზღვები სასიარულოთ გაიხსნება, ფასი კიდევ უფრო დაიკლებს.

ბანკირები ოქროს არ ყიდულობენ; იმის ფასიც დაეცა. 27 იანვარს მოსკოვში გასაგზავნათ პოლუიმპერიალში აძლევდნენ 6 მანეთს და 18 კაპ.

სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 13).

1) სახელმწიფო ქონების დეპარტამენტში 18 თებერვალს 1867 წ. მოხდება ტორგი და 3 დღეს შემდეგ პერეტორჭკა, რომელზედაც იჯარით გაიცემა საეკლესიო ბაღი სოფელს ხაშმს, ტფილისის უეზდში.

2) იმავე დეპარტამენტში და იმავე დღეს დანიშნულია ტორგი, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორი ბაღი სოფელს პატარძეულს, ტფილისის უეზდში.

3) იმავე დეპარტამენტში 28 თებერვალს მოხდება ტორგი და 3 დღეს შემდეგ პერეტორჭკა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორი საეკლესიო ბაღი ხირსს, სიღნაღის უეზდში.

4) კავკასიის საინტენდანტო ოკრუგის სამმართველო აცხადებს, რომ 1867 წ. კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტისთვის (სკლადებისთვის) უნდა მოამზადონ იჯარით შემოსახვევი და ჩასაწყობი მასალები (ბაწრები და იაშჩიკები). ამ იჯარის გასაცემათ მოხდება ტორგი: 1 ტფილისში—საინტენდანტო სამმართველოში, 28 თებერვალს, 2) სტავროპოლში—სახაზინო პალატაში, 9 მარტს, 3) პეტროვსკში—კამენდატის სამმართველოში— 9 მარტს.

6) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში 3 მარტს 1867 წ, მოხდება ტორგი კაზარმის ასაშენებლად მანგლისის პრავიანტის მაგაზინთან, რომელიც დაჯდება 611 მანეთი და 30 კ.

7) ამავე სამმართველოში მოხდება ტორგი 18 თებერვალს 1867 წ. იმაზედ, და პერეტორჭკა 3 დღის შემდეგ, რომ ტფილისში უნდა მომზადდეს 154 ქვეითი პოლკისთვის 288 ჩეთვერი ქერი და 4320 ფუთი თივა; ეს საკვები მარტიდამ 1867 წ. დაწყებული უნდა ეძლიოს პროპორციებით, თვეში 48 ჩეთვერტი ქერი და 720 ფუთი თივა.

8) ახალციხის სამხედრო ლოშპიტლის კანტორამ დანიშნა ტორგი ამ წლის 18 თებერვალს მისთვის, რომ ივჯარით უნდა გასცეს სხვა და სხვა ნაირი რკინისა და ხის ნივთები შესალებავათ; პერეტორჭკა იქნება სამი დღის შემდეგ.

11) ზაკავკასიის პრიკაზის განკარგულებით მოხდება ტორგი თელავის უეზდის სამსჯავროში ამწლის 9 ივნისს ამ ტორგებით უნდა დაიყიდოს ქვემოხსენებული თელავის და სიღნაღის უეზდების მებატონეების მამულები, რადგანაც იმათ არ შეიტანეს პრიკაზიდამ გამოტანილის შემდგომის სესხის სარგებელი: 1) აზნაურმა ივანემ და სოლომონ ბრიგოლის ძეთა თურქესტანშვილებმა— 1000 მანეთის, რომლის გირაოთ არის მათი მამული სოფელს ხორხეს თელავის უეზდში. 2) პრაპორშჩიკმა აწ გარდაცვალებულმა თ. ბესარიონ სოლომონის ძემ ბებურო—ვაჩნაძემ 3300 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი მამული სიღნაღის უეზდში სოფელს ქარდანახს. 3) თ. გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძემ 15,000 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი მამული თელავის უეზდში, სოფელს ყვარელს.

12) ზაკავკასიის პრიკაზში 9 იანვარს მოხდება ტორგები, კანონიერი პერეტორჭკით, ქვითკირის შენობების გასასყიდლათ, რომელიც ეკუთვნიან ქვემოხსენებულთ ტფილისის მცხოვრებლებს. ეს მამულები იმისთვის ისყიდებიან, რომ მათმა პატრონებმა არ შეიტანეს პრიკაზიდამ გამოტანილის შემდეგის სესხის სარგებელი; 1) სარქის აროუთინას ძემ მიკირტუმოვმა— 1250 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი ფლიგელით, 3 ნაწილის 1 კვარტალში. 2) ზეო და სოლომონ ძამუკოვებმა 300 მანეთისა რომლის გირაოთ არის მათი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 3) ბაღდასარ ბრიგორის ძემ ქარიმელოვმა 500 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში; 4) ვართან ზეორქის ძემ აზნაზაროვმა 600 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 3 ნაწილის 1 კვარტალში. 5) სტეფანე და ბიგოლა აარუნის ძეთა ვარნაზოვებმა 400 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მათი სახლი 4 ნაწილის 2 კვარტალში; 6) ახალციხის მცხოვრების ივანე პეტრეს ძემ ჯიმშეროვმა 5250 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი 2 ნაწილის, 1 კვარტალში. 7) ყორხმაზ, მოსეს და ნასყიდა იოსების ძეთა იზდანოვებმა—7500 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მათი სახლი 2 ნაწილის 2 კვარტალში 8) მაქსიმე პილოს ძემ ბაბოევმა—350 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი, 3 ნაწილის 1 კვარტალში. 9) არტემ და მიხეილ ოჰანეზას ძეთა თუგუნოვებმა—2250 მანეთისა, რომლის გირაოთ არის 4 დუქანი სარდაფებითა და ოთახებითურთ 3 ნაწილის, 1 კვარტალში. 10) ხეჩო, აევტიქ და მარტირუზ ოჰანეზას ძეთა მაკაროვებმა—1400 მანეთისა, რომლის გირაოთ არის ორი დუქანი 3 ნაწილის 1 კვარტალში 11) თათუა ზაქარას ძემ. ახნაზაროვმა—400 მანეთისა რომლის გირაოთ არის მისი სახლი სარდაფით 4 ნაწილის, 2 კვარტალში 12) ბარბარე იოსების ასულმა ბაბანასოვისამ—2500 მანეთისა, რომლის გირაოთ არის მისი სახლი. 13) პრაპორშჩიკმა ჰაჯი-უიაზ-ბექ-მიზიროვმა 3, 200 მანეთისა, რომლის გირაოთ არის 2 სახლი, 2 ნაწილის, 4 კვარტალში.

(Кавказъ № 13)

კავკასიის ნამესტნიკის უმთავრესის სამმართველოს ნაჩალნიკის თავსმჯდომარეობით დაწესებული კაპიტეტი სატრანზიტო გზების გასაკეთებლათ კავკასიის აქეთ მხარეში მოიწვევს მსურველთ, რომ იჯარით აიღონ 2040 საჟენის დამტვრეულის ქვის მომზადება შოსესათვის ღილიჯანის ხეობაში.

ვისაც ამ იჯარის აღება სურს, იმან ამ მარტის პირველს უნდა გამოგზავნოს-განცხადება, რომლის პაკეტზედ უნდა იყოს დაწერილი: **Въ главное управленіе Намѣстника Кавказскаго, по комитету для Устройства транзитныхъ дорогъ, обявленіе на принятіе подряда по шоссировкѣ дороги отъ станціи Чуросанъ до селенія Делижанъ.**

(*) რადგანაც მთელი რუსეთის ვაჭრობა, აღებმიცემობა და ბირჟა დამოკიდებულია პეტერბურგის და მოსკოვის ვაჭრობაზედ და ბირჟაზედ, ამიტომაც „დროების“ მკითხველებს შევატყობინებთ ხოლმე ამ ქალაქების ვაჭრობის და ბირჟის ამბავს. შეტეხს ჩვენს ვაჭრებს აქეთ აღებ-მიცემობა იმ ქალაქების ვაჭრებთან.

(**) ამ ჟამათ სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ტფილისში ეს ბილეთი ფასობს 112 მანეთათ და 31 კაპეიკ., რასაკვირველია ამაში უნდა ჩაირიცხოს ერთი წლის სარგებელი, რომელიც 1 მარტს შეადგენს, თითო ბილეთზედ, 5 მანეთს. პირველი შინაგანის სესხის ბილეთი ფასობს 118 მან. 70 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17-го февраля 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი ბ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.